ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების #P120726VL48W3E3 თავსართი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

წლიური საპროცენტო განაკვეთი:	0%
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	6.54%

ფინანსური ხარჯები

ყოველთვიური შენატანები:	106,42 ლარი (ძირითადი თანხა, საპროცენტო სარგებელი და საკომისიო კრედიტის დაფარვისთვის)
საკომისიო კრედიტის გაცემისთვის:	25,18 ლარი (კრედიტის თანხის 2.00%, მინიმუმ 10 ლარი)
სესხის დაფარვის საკომისიო:	1,50 ლარი ყოველთვიურად (ჯამში 18,00 ლარი).
სხვაობა სახელშეკრულებო და ნაღდი ანგარიშსწორების ფასებს შორის:	0

ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი:

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი:	1259
ნაღდი ანგარიშსწორების ფასი:	1259

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:

- ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ ხელშეკრულებაში ისევე, როგორც ამ ხელშეკრულებაში აღწერილი პროდუქტის/მომსახურების პირობებში და საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებაში (განთავსებულია ბანკის ინტერნეტ - გვერდზე www.tbcbank.ge) ცვლილებებთან დაკავშირებული პირობები მოცემულია ხელშეკრულების ძირითად ნაწილში;
- მომხმარებელს უფლება აქვს წარუდგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურს ზეპირი ან სტანდანდარტული წერილობითი ფორმით.

ხელშეკრულების სხვა პირობები

კრედიტის თანხა:	1259 ლარი
კრედიტის ვადა:	366 დღე
წინსწრებით დაფარვის საკომისიო:	2%
პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის:	20 ლარი გრაფიკის ყოველი დარღვევისას (გარდა სესხის წინსწრებით დაფარვისა) და დავალიანების 0,5% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2406 406.

ბანკი

კლიენტი/მსესხებელი/დამგირავებელი

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება #P120726VL48W3E3

თბილისი 26.07.2012

ერთი მხრივ, სს „თიბისი ბანკი" (შემდგომში „ბანკი"/"მოგირავნე") და მეორე მხრივ, სოფიო ქარჩხაძე (შემდგომში „კლიენტი"/"მსესხებელი"/"დამგირავებელი") ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანია ბანკის მიერ მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით და მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

1.2 საბანკო კრედიტის (სესხის) ძირითადი პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით.

1.3 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საბანკო კრედიტით (სესხით) დაფინანსდება ამ ხელშეკრულების 2.21 პუნქტში დასახელებული პირისგან (შემდგომში „ორგანიზაციისგან") ამ ხელშეკრულების 2.20 პუნქტში აღწერილი ნივთის შეძენა მსესხებლის მიერ.

1.4 ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილი იქნება ამ ხელშეკრულების 2.20 პუნქტში აღწერილი ნივთით (შემდგომში „გირავნობის საგნით"), რომელიც გირავდება ამ ხელშეკრულების საფუძველზე.

1.5 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საბანკო კრედიტის (სესხის) თანხა ჩაირიცხება მსესხებლის ანგარიშზე, რომლიდანაც მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე გადაირიცხება ორგანიზაციის ანგარიშზე.

1.6 ამ ხელშეკრულებით დასტურდება ბანკის მიერ მსესხებლისთვის საბანკო კრედიტის (სესხის) მიცემის ფაქტი და ორგანიზაცია ვალდებულია მსესხებლის მიერ ამ საბუთის მისთვის წარდგენისა და მისი ნამდვილობის გადამოწმების შემდეგ მსესხებელს გადასცეს გირავნობის საგანი.

2. საბანკო კრედიტის პირობები

2.1	ძირითადი ხელშეკრულება:	მითითებულია ამ ხელშეკრულების 5.4.1 ქვეპუნქტში
2.2	საბანკო კრედიტის ტიპი:	„სწრაფი განვადება"
2.3	კრედიტის თანხა:	1259 ლარი
2.4	კრედიტის ვადა:	**366 დღე (12 გადახდა)**
2.5	წლიური საპროცენტო განაკვეთი:	0% ერიცხება ყოველთვიურ ნაშთს
2.6	კრედიტის მიზნობრიობა:	ამ ხელშეკრულების 2.20 პუნქტში აღწერილი ნივთის შეძენა
2.7	კრედიტის გაცემის ფორმა:	ერთჯერადი
2.8	კრედიტის დაფარვის გრაფიკი:	**106,42 ლარი ყოველი თვის 27 რიცხვში** (იმ შემთხვევაში, თუ დაფარვის ვადა დაემთხვევა არასამუშაო დღეს კლიენტი ვალდებული იქნება ყოველთვიურად გადასახდელი თანხა გადაიხადოს დაფარვის თარიღის მომდევნო პირველივე სამუშაო **დღეს**. კრედიტის დაფარვის დაწყების თარიღი **27.08.2012.** კრედიტი (ძირითადი თანხა და დარიცხული საპროცენტო სარგებელი) სრულად უნდა დაიფაროს **27.07.2013**
2.9	ფიქსირებული პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის:	**20 ლარი** გრაფიკის **ყოველი** დარღვევისას (**გარდა სესხის წინსწრებით დაფარვისა**)
2.10	ყოველდღიური პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის:	**დავალიანების 0,5% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის**
2.11	საკომისიო ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვისთვის:	**2%**
2.12	საკომისიო რეფინანსირებისათვის:	გამოიყენება ამ ხელშეკრულების 2.11 ქვეპუნქტში აღწერილი წესი
2.13	საკომისიო კრედიტის დამტკიცებისთვის:	0 ლარი
2.14	საკომისიო კრედიტის გაცემისთვის:	25,18 ლარი (კრედიტის თანხის 2.00%, მინიმუმ 10 ლარი)
2.15	საკომისიო კრედიტის აუთვისებლობისთვის:	0 ლარი
2.16	საკომისიო პროლონგაციისთვის:	0 ლარი
2.17	გასატანი თანხის ოდენობა:	1259 ლარი
2.18	პერიოდულობა/გატანის თარიღები:	ერთჯერადად 26.07.2012
2.19	გატანების საერთო რაოდენობა:	ერთი
2.20	შესაძენი ნივთი (გირავნობის საგანი):	სხვა - ნოუთბუქი "ACER 1", 1 ცალი, ფასი: 1259 ლარი
2.21	სავაჭრო/მომსახურების ობიექტი (ორგანიზაცია):	შპს "ციფროვიკ გრუზია" 0% - 12 თვიანი
2.22	გამჭირვება (კრედიტის ვადაზე დარიცხული ფიქსირებული პროცენტი):	
2.23	სესხის დაფარვის საკომისიო:	1,50 ლარი ყოველთვიურად (ჯამში 18,00 ლარი).
2.24	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	6.54 %
2.25	ყოველთვიური შენატანები:	გამოიყენება ამ ხელშეკრულების 2.8 პუნქტში აღწერილი წესი.
2.26	სხვაობა სახელშეკრულებო და ნაღდი ანგარიშსწორების ფასებს შორის:	0 ლარი
2.27	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი:	1259
2.28	ნაღდი ანგარიშსწორების ფასი:	1259

ბანკი

კლიენტი/მსესხებელი/დამგირავებელი

3. საპროცენტო განაკვეთის ცვლილება

3.1 რომელიმე წინაპირობის, დამატებითი პირობის ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 4%-ით (ამ პირობის შეცვლა შესაძლებელია მხარეთა დამატებითი შეთანხმებით); დარღვევის გამოსწორებიდან (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან მოთხოვნის შესრულებიდან) 60 (სამოცი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შემცირდება დარღვევამდე (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობამდე) არსებულ ოდენობამდე;

3.2 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო სარგებლის განაკვეთი აღმოჩნდება უფრო დაბალი, ვიდრე საქართველოს საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთები ან/და ბანკის საკრედიტო პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ისე რომ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის ან/და საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი ამის შესახებ კლიენტისთვის შეტყობინების გზით. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ დაეთანხმება ამ პუნქტის საფუძველზე ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის გაზრდას, იგი ვალდებული იქნება ბანკის შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში სრულად დაფაროს ბანკის მიერ მისთვის მიცემული ყველა საკრედიტო პროდუქტი. კლიენტის მიერ ამ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს გაზრდილი განაკვეთის მიხედვით.

3.3 ზემოთ აღწერილი რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი, რის შესახებაც ბანკი კლიენტის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე კლიენტისთვის კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით შეტყობინების გაგზავნით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპროცენტო განაკვეთის გაზრდა გამოწვეული იქნება კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების ან/და საბანკო კრედიტის რომელიმე პირობის დარღვევით (ამ შემთხვევაში ბანკი არ იქნება ვალდებული შეატყობინოს კლიენტს საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესახებ).

3.4 წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს თუ ხელშეკრულების პირობის შეცვლა ხდება მსესხებლის სასარგებლოდ.

4. საკრედიტო ურთიერთობის ან/და ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის პირობები

4.1 ქვემოთ აღწერილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში (იქნება ეს „მსესხებლის" მოქმედების შედეგად თუ კანონის ძალით), „ბანკი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შეტყობინების მეშვეობით და მოსთხოვოს „მსესხებელს" გადასახდელი თანხის ან მისი ნაწილის დაუყოვნებლივ გადახდა. ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს „ბანკისთვის" მინიჭებულ ნებისმიერ უფლებას ან ხელშეკრულების დარღვევის შედეგად წარმოშობილ უფლებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით, ძირითადი ხელშეკრულებით და/ან საქართველოს კანონმდებლობით:

4.2 „მსესხებელი" ვალდებულია ამ ხელშეკრულების წინამდებარე პუნქტში აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ და მასში მითითებულ ვადაში დაუყოვნებლივ დაბრუნოს ძირითადი თანხა მასზე დარიცხულ პროცენტებთან და ამ ხელშეკრულებით, ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა სხვა სახის გადასახდელთან თუ საკომისიოსთან ერთად;

4.3 ბანკის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია თუ:

4.3.1 „მსესხებელი" დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხის გადახდას;

4.3.2 „მსესხებელი" ან ამ ხელშეკრულების ან/და ძირითადი ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის მონაწილეები, მესამე პირები ან მათი უფლებამონაცვლეები დაარღვევენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს;

4.3.3 „მსესხებელი" დაარღვევს ამ ხელშეკრულების მიზნობრიობას;

4.3.4 გაუარესდება „მსესხებლის" ან მისი გარანტის ან თავდების ფინანსური მდგომარეობა ან შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს თანხების დაბრუნებას;

4.3.5 განადგურდება, დაზიანდება ან ღირებულება შეუმცირდება წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველყოფის ობიექტ(ებ)ს, რისთვისაც „ბანკს" არანაირი პასუხისმგელობა არ ეკისრება;

4.3.6 „მსესხებლის" თავდების მიმართ არის ლიკვიდაციის ან გაკოტრებულად გამოცხადების მოთხოვნა ან თუ ისინი თვითონ შეიტანენ მოთხოვნას ლიკვიდაციის შესახებ;

4.3.7 „ბანკის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „მსესხებელი" იკისრებს რაიმე დამატებით ვალებს ან ვალდებულებებს სხვა საკრედიტო დაწესებულებებიდან;

4.3.8 არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილება მსესხებლის საკუთრებაში და არ არსებობს „ბანკის" წერილობითი თანხმობა ასეთი ცვლილების თაობაზე;

4.3.9 ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს „მსესხებელს" ქონებას ან სხვა აქტივებს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს მის ნაციონალიზაციას ან ადგილი ექნება სხვაგვარ ექსპროპრიაციას;

4.3.10 ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებს „მსესხებელი" და დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებასთან და ძირითად ხელშეკრულებასთან აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი;

4.3.11 „მსესხებლის" მოქმედება მიმართულია „ბანკის" მოტყუებისაკენ;

4.3.12 ისეთი გარემოების დადგომა, როდესაც ეჭქვეშ დგება „მსესხებლის" მიერ თანხის დროული დაბრუნება.

5. სხვა პირობები

5.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.

5.2 ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების 5.4.1 ქვეპუნქტში დასახელებული ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა მოცემულია ძირითად ხელშეკრულებაში.

5.3 ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტს (მომხმარებელს) უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით (რომლის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში, ასევე ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge). კლიენტის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების მომენტიდან. პრეტენზიას განიხილავს სს „თიბისი ბანკის" მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახური. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge და ტელეფონის ნომერზე: 2272727.

5.4 ამ ხელშეკრულების ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ:

ბანკი

კლიენტი/მსესხებელი/დამგირავებელი

5.4.1 დეტალურად იცნობს ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას;

5.4.2 თანახმაა მისი მონაცემები ბანკმა გადაამოწმოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში;

5.4.3 ამ ხელშეკრულებას დებს თავისი საჭიროებისთვის, არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით და არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკთან");

5.4.4 თანახმაა, ბანკმა არ მიაწოდოს ინფორმაცია ცვლილებების (მათ შორის კლიენტისთვის სასარგებლო ან/და ინდექსირებულ საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ცვლილებების) შესახებ;

5.4.5 თანახმაა, ბანკმა გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის (სადეპოზიტო) ანგარიში (კრედიტის ვალუტაში) კრედიტის დაფარვის (მომსახურების) მიზნით;

5.4.6 ბანკს უფლება აქვს შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული და სხვა).

5.5 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ბანკს, ერთი გადაეცემა კლიენტს.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

ბანკი
სს „თიბისი ბანკი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7

კლიენტი/მსესხებელი/დამგირავებელი
[redacted]

ბანკის წარმომადგენლის ხელმოწერა
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

☒ არამეწარმე ☐ მეწარმე

გრაფის „არამეწარმე" მონიშვნით კლიენტი ადასტურებს, რომ ის არ არის მეწარმე ფიზიკური პირი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის მიხედვით

კლიენტის ან მისი წარმომადგენლის
ფაქსიმილე

კლიენტის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერა
სახელი და გვარი სრულად და გარკვევით

გირავნობის ხელშეკრულება #P120726VL48W3E3

თბილისი 26.07.2012

ერთი მხრივ, სს „თიბისი ბანკი" (შემდგომში „ბანკი"/"მოგირავნე") და მეორე მხრივ, სოფიო ქარჩხაძე (შემდგომში „კლიენტი"/"მსესხებელი"/"დამგირავებელი"), მხარეთა შორის 26.07.2012 დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების #P120726VL48W3E3 და ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ძირითადი ხელშეკრულების") საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საგანია დამგირავებლის მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების #P120726VL48W3E3 საფუძველზე მიღებული საბანკო კრედიტით შებენილი მოძრავი ნივთ(ებ)ის დაგირავება მოგირავნის სასარგებლოდ ძირითადი ხელშეკრულებისა და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების, ამ ვალდებულებების დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისა და გირავნობის საგნის შენახვისა და რეალიზაციისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.

1.2. მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დამგირავებელს არ აქვს გირავნობის საგნის გასხვისების, მფლობელობაში ან სარგებლობაში გადაცემის (ქირავნობა, იჯარა, თხოვება და სხვა), უფლებრივად დატვირთვის (გირავნობა), მესამე პირებისათვის გირავნობის საგანთან დაკავშირებული მინდობილობ(ებ)ის გაცემის ან გირავნობის საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგების დადების უფლება.

1.3. <u>დამგირავებელი ვალდებულია:</u>

1.3.1. მიიღოს ყველა ზომა გირავნობის საგნის დაცვისა და კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის, დაიცვას იგი მესამე პირების ხელყოფისა და მოთხოვნებისაგან და აცნობოს მოგირავნეს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს გირავნობის საგანზე;

1.3.2. მოგირავნის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა უზრუნველყოს ხელმოწერა და მოგირავნისთვის დაუყოვნებლივ გადაცემა ნებისმიერი საბუთისა (განცხადების, შეთანხმების და სხვა), რომელიც საჭირო იქნება მოგირავნისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებ(ებ)ის სრულფასოვანი განხორციელებისთვის და პირდაპირ მფლობელობაში გადასცეს მოგირავნეს გირავნობის საგანი;

1.3.3. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაუხადოს მოგირავნეს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების 1.4 პუნქტში მითითებული თანხის 1%-ის ოდენობით დარღვევის ყოველი ფაქტისთვის.

1.4. მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნა შეადგენს 10 000 (ათ ათას) ლარს.

2. გირავნობის საგანი

2.1 გირავნობის საგანია დამგირავებლის კუთვნილი შემდეგი მოძრავი ნივთ(ებ)ი:
აღწერილია ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტში დასახელებულ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში.

3. მოგირავნის ინტერესების დაკმაყოფილება

3.1. ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღწერილი რომელიმე ვალდებულების ჯეროვნად და დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მოგირავნეს უფლებ ექნება, სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლობის და ამ ხელშეკრულების შესაბამისად და ამ მიზნით საკუთარი არჩევანით განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათაგან ნებისმიერი:

3.1.1. გირავნობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს აუქციონის მეშვეობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით იპოთეკის საგნის რეალიზაციისთვის დადგენილი წესის ანალოგიურად. ამასთან, დამგირავებელი ამ ხელშეკრულების ხელმოწერით წინასწარ აცხადებს თანხმობას, აუქციონის ჩატარების მიზნით მოგირავნის მიერ შერჩეული პირის სპეციალისტად დანიშვნაზე; სპეციალისტის ანაზღაურება განისაზღვრება იმ ვალდებულების ღირებულების არანაკლებ 0,1%-ით და არაუმეტეს 5%-ისა, რომლის შესასრულებლადაც (დასაფარავადაც) ჩატარდება აუქციონი;

3.1.2. გირავნობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;

3.1.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260[1] მუხლის შესაბამისად პირდაპირ მიიღოს საკუთრებაში გირავნობის საგანი;

3.1.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის შესაბამისად გირავნობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს პირდაპირი მიყიდვის გზით. ამ შემთხვევაში მოგირავნეს, როგორც დამგირავებლის მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება ექნება უშუალოდ დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება, ან მარეგისტრირებელ ორგანოს მიმართოს განცხადებით, რომლის საფუძველზეც მოგირავნე დამგირავებლის (მესაკუთრის) სახელით გადასცემს საკუთრების უფლებას გირავნობის საგანზე მის მიერ შერჩეულ ნებისმიერ პირს;

3.1.5. გირავნობის საგნის გაყიდვა მიანდოს სპეციალურ სავაჭრო დაწესებულებას ან ნებისმიერ პირს, რომელიც ვაჭრობს გირავნობის საგნის მსგავსი ნივთებით.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის გირავნობის საგნის ღირებულება იქნება უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე ნაკლები ან თუ გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა არ იქნება საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად (დასაფარავად), უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ გირავნობის საგნის ღირებულების ან გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხის ტოლი ოდენობით.

3.3. მოგირავნეს უფლება აქვს მოითხოვოს აღსრულების მიქცევა მოვალის/კლიენტის/მსესხებლის ნებისმიერ ქონებაზე (მოვალის/კლიენტის/მსესხებლის კუთვნილ ნებისმიერ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე) მიუხედავად იმისა უზრუნველყოფილია, თუ არა მოვალის/კლიენტის/მსესხებლის ვალდებულება (ბანკის მოთხოვნა) სანივთო უფლებით (იპოთეკით, გირავნობით).

3.4. გირავნობა ვრცელდება გირავნობის საგნის ნაყოფზეც, მისთვის შეერთებულ ან შერწყმულ ნივთზე და ნივთზე, რომელსაც შეუერთდება ან შეერწყმება გირავნობის საგნის ნებისმიერი ნაწილი.

3.5 გირავნობის საგნის დაკარგვასთან, დაზიანებასთან, განადგურებასთან ან გაუფასურებასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი სახის ანაზღაურება, მათ შორის, სადაზღვევო ანაზღაურება, იკავებს გირავნობის საგნის ადგილს.

4. სხვა პირობები

4.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ და იმოქმედებს გირავნობით უზრუნველყოფილი ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.

4.2 ამ ხელშეკრულებაზე ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების მოქმედება და მასში ცვლილებების შეტანა დასაშვებია ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

4.3 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილად ცნობა არ გამოიწვევს მთლიანად ამ ხელშეკრულების ბათილობას.

ბანკი

კლიენტი/მსესხებელი/დამგირავებელი

4.4 მხარეთა შორის წამოჭრილ დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ბანკს უფლება აქვს:

4.4.1. მოითხოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილის საფუძველზე;

4.4.2. დავა განსახილველად გადასცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს "მორავი", რაზეც დამგირავებელი თანხმობას აცხადებს ამ ხელშეკრულების ხელმოწერით.

4.5. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება მოგირავნესთან, ერთი - დამგირავებელთან.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

ბანკი/მოგირავნე
სს „თიბისი ბანკი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7

კლიენტი/მსესხებელი/დამგირავებელი

[redacted]

ბანკის წარმომადგენლის ხელმოწერა
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

✓
დამგირავებლის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერა
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

შემოსავლის ორდერი

გადახდის თარიღი:	26.07.2012	
გადამხდელი:	[redacted]	
გადახდილი თანხა:	25.18	ლარი
ნო	ნიუთბუქი "ACER 1"	

ბ.ა შპს "ციფროვიკ-გრუზია"-სწარმომადგენელი: .....

ხელმოწერით ვადასტურებთ რომ, შემოსავლის ორდერში მითითებული თანხა შეტანილია შპს "ციფროვიკ-გრუზიის"" სალაროში. შემოსავლის ორდერს თან ერთვის სალარო აპარატის ქვითარი